პროექტის ფაქტები

Funded by the European Union

EU4Dialogue: ურთიერთობების გაუმჯობესება გამყოფი ხაზების გასწვრივ, განათლებისა და კულტურის საშუალებით

განხორციელების ვადა: 07.05.2021 - 06.05.2025

EaP ქვეყნები:
აზერბაიჯანი, მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი

ევროკავშირის წვლილი: € 2 999 254

მთლიანი ბიუჯეტი: € 3 643 105

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
DAAD

პროექტის აღწერა:

მრავალკომპონენტიანი პროგრამა — EU4Dialogue, მხარს უჭერს ინიციატივებს, რომლებიც მიმართულია დიალოგისა და ხალხთა შორის კავშირების წახალისებისკენ გამყოფი ხაზების ორივე მხარეს, სამხრეთ კავკასიასა და მოლდოვის რესპუბლიკაში.

პროექტი მიზნად ისახავს გაცვლითი ურთიერთობების გააქტიურებას განათლებისა და კულტურის სფეროში, გამყოფი ხაზების ორივე მხარეს. აღნიშნული მიმართულებით, კონსორციუმის შვიდი პარტნიორი ორგანიზაცია — ბელგიიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ირლანდიიდან, ლატვიიდან და პოლონეთიდან, გაატარებს მოკლე, საშუალო და გრძელვადიან ღონისძიებებს ოთხი სამუშაო ჯგუფის მეშვეობით.

დაგეგმილია მთელი რიგი აქტივობები საშუალო და უმაღლესი განათლების, ასევე კულტურის სფეროს ჩართულობით. ღონისძიებები მოიცავს: სასწავლო ტურებს სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის ევროკავშირის ქვეყნებში, ონლაინ კურსებს უცხო ენის მასწავლებლებისათვის, საზაფხულო სკოლებს, უცხოელი პროფესორების ვიზიტებს, ხელოვანთა გაცვლით პროგრამებს; ასევე — ტრენინგ-კურსებს კულტურის მენეჯმენტში, პედაგოგიკაში, კულტურული მემკვიდრეობის, თეატრის და კინემატოგრაფიის მიმართულებით.

მოსალოდნელი შედეგები:

- გაიზრდება ევროკავშირის, როგორც დიალოგის მხარდამჭერის როლი, გამყოფი ხაზების ორივე მხარეს;
- გაძლიერდება ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა და საშუალო განათლების როლი კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში;
- გაუმჯობესდება დიალოგის პროცესში უმაღლესი განათლების გამოყენება როგორც უშუალოდ სამიზნე რეგიონებში, ასევე რეგიონებს შორის და ევროკავშირთან;
- გაიზრდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და კულტურული სივრცეების გამოყენება ნდობის მშენებლობის პროცესში;
- ადამიანთა შორის კავშირების გაზრდის გზით გაუმჯობესდება დიალოგი გამყოფი ხაზების ორივე მხარეს.